ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 12

ქ. თბილისი

20.08.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი

4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

5. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

6. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

7. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

8. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ლევანი გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აპეციალისტი

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ახალი სკოლა

   ნინო გუგუშვილი - მიმართულების ხელმძღვანელი

   ნათელა ებრალიძე - მიმართულების ხელმძღვანელი

   ნინო ცინარიძე - IB პროგრამის კოორდინატორი

2. შპს სკოლა ახალი თაობა

   ანა უსტიაშვილი - სკოლის დამფუძნებელი

   მარინა გოგოლაძე - ხარისხის მენეჯერი

   ლელა გოგოლაძე - საქმისმწარმოებელი

3. შპს ალბიონი

   მანანა ასათიანი - დირექტორი

   მირანდა მუმლაძე - დამფუძნებელი

4. შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი

   თამარ ჩიკვილაძე - კლასგარეშე მუშაობის კოორდინატორი

   ლელა წიქარიშვილი - დირექტორის მოადგილე

5. შპს საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის საშუალო სკოლა

   როზა გულისაბედაშვილი - დირექტორის მოადგილე

6. ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია

   ლევან მერაბიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს ი

7. ა(ა)იპ ცისარტყელა

   დავით დუჩიძე - ა(ა)იპ ცისარტყელას გამგეობის თავმჯდომარე

   ვერა კალანდარიშვილი - მუსიკის მასწავლებელი

   ირაკლი იორამაშვილი - ადმინისტრატორი

   ელენე აზმაიფარაშვილი - ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ქეთევან ბაცანკალაშვილი

ლელა ფიცხელაური

მაია ინასარიძე

სერგო დურგლიშვილი

ციალა გაგნიძე

ქეტევან ბოტკოველი

ცირა ნიკოლაშვილი

დავით ჭეიშვილი

მაკა ნადარეიშვილი

მაკა ტუკვაძე

ნოდარ ანგურიძე

ნინო ფეტვიაშვილი

მიხეილ ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 17:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ახალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა ახალი თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. შპს ალბიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. ა(ა)იპ ცისარტყელას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ საკითხებს დამატებოდა შპს თბილისის თავისუფალ სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მეოთხე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების, შპს იუჯი სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მეექვსე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხების განხილვა. შუამდგომლობას

ერთხმად დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს ახალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

2. შპს სკოლა ახალი თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

3 .შპს ალბიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

7. ა(ა)იპ ცისარტყელას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. შპს თბილისის თავისუფალ სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მეოთხე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვა.

9. შპს იუჯი სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მეექვსე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვა.

10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვა.

1. **შპს ახალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მარინა უშვერიძემ განაცხადა, რომ მისი შვილი იყო აღნიშნული სკოლის მოსწავლე, ამიტომ ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ხოლო მეორე ექსპერტი ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას. ექსპერტმა ისაუბრა ძირითად მიგნებებზე, რომლებიც გამოიკვეთა ექსპერტთა ვიზიტის დროს. მან განმარტა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ორი განყოფილება - ინგლისური და ქართული. ორივე განყოფილებაში სწავლება მიმდინარეობდა ძირითადად საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) მიდგომების მიხედვით. ქართულენოვან განყოფილებაში IB მიდგომები ეყრდნობოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. ექსპერტმა მოიყვანა მაგალითი იმის შესახებ, რომ სკოლა ამ სტანდარტებზე დაყრდნობით იყენებდა სწავლების კონცეპტუალურ მიდგომას, რაც გულისხმობდა საძიებო თემების ირგვლივ აგებულ სასწავლო პროცესს, რომელიც მოსწავლეებში ავითარებდა კრიტიკული აზროვნების და პრობლემების გადაჭრის უნარებს.

ექპერტმა განმარტა, რომ ორივე განყოფილებაში მოქმედებდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ერთიანი წესები. სკოლა ორივე განყოფილების მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით სააღმზრდელო მომსახურებებს, რომლებზეც მოსწავლეებს ხელი თანაბრად მიუწვდებოდათ. დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრებოდა 521 მოსწავლით. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა მოსწავლეთა კონტიგენტი განსაზღვრულიყო 850 მოსწავლით. ექსპერტმა ჯგუფმა შეისწავლა ადამიანური რესურსი და სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით. ექპერტმა წინასწარვე აღნიშნა, რომ სკოლა ორივე კატეგორიაში აკმაყოფილებდა სტანდარტებს, და ჰქონდა იმის მზაობა, რომ განეხორციელებინა სასწავლო პროგრამა 850 მოსწავლეზე. სკოლა რეგისტრირებული იყო შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N35ბ. სკოლის საკუთრებაში იყო 8726 კვ. მ მიწის ფართობი და მასზე განთავსებული ცხრა შენობა-ნაგებობა. სკოლაში იყო 47 საკლასო ოთახი, სკოლაში

განთავსებული იყო 913 სკამი, 293 ერთადგილიანი მერხი და 6 ადგილიანი 16 ცალი დიდი მრგვალი მაგიდა.

ექპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სკოლაში დემონტირებული იქნა ორადგილიანი მერხები. 850 მოსწავლის მისაღებად საჭირო იყო დამატებით 500 ერთადგილიანი მერხის შეძენა. სკოლამ წარმოადგინა ერთადგილიანი 503 მერხის შესაძენად დადებული ხელშეკრულებები და ინვოისები, ასევე გადარიცხული შესაბამისი თანხის ნაწილის ქვითრები. საერთო სურათით დასტურდებოდა, რომ სკოლა შეძლებდა 892 მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის განხორციელებას.

ქეთევან ბაცანკალაშვილმა ადამიანურ რესურსთან მიმართებით განმარტა, რომ სკოლაში დასაქმებულია 187 თანამშრომელი: მასწავლებელი - 60, წრის მასწავლებელი - 8, დაწყებითი კლასების მასწავლებლის ასისტენტი - 17, პირველი რგოლის მენეჯმენტი - 2, მეორე რგოლის მენეჯმენტი - 8, ადმინისტრაციის თანამშრომელი - 17, ექიმი - 4, მომსახურე პერსონალი - 13, ტექნიკური პერსონალი - 48.

საბჭოს წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვა მასწავლების ასისტენტის მოვალეობების განმარტების შესახებ. სკოლის წარომადგენლებმა განმარტეს, რომ ასისტენტი არის დაწყებითი კლასების მასწავლებლის დამხმარე, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვებზე ზრუნვაზე, ყურადღებაზე, მშობლებთან კომუნიკაციაზე და სხვა. ასისტენტი აქტიურად ერთვება მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომის განხორციელების პროცესში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა არ იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, მაგრამ სთავაზობდა მასწავლებლებს ალტერნატიულ სქემას, რომელზეც ჰქონდა თანხმობა და რეგულირდებოდა საერთაშორისო ბაკალავრიატის ფონდით. აქვე აღნიშნა ისიც, რომ სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა 2016 წლის 21 ივლისის საბჭოს რეკომენდაცია, რომლითაც ალტერნატიულ სქემაში მასწვალებლებს ვალდებულებად განუსაზღვრა 2019 წლის 1 სექტემბრამდე სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის ნაწილში სკოლა აკმაყოფილებდა საქმიანობა განახორციელოს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა შეკითხვით, თუ ვინ ასწავლიდა IB პროგრამაზე მოსწავლეებს. ექსპერტმა განუმარტა, რომ ასწავლიდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი პედაგოგები.

ასევე საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა ქართულ და ინგლისურენოვან მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ერთად მონაწილეობის შესახებ. სკოლის წარმომადგენლების მიერ განიმარტა, რომ მოსწავლეებს მხოლოდ უცხო ენაში უტარტებათ ერთად საგაკვეთილო პროცესი (მაგალითად ფრანგულში, რუსულში, ესპანურსი).

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და ექსპერტს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა, კერძოდ მოსწავლეთა რაოდენობის 850-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-7

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ახალ სკოლას (ს/კ 202903750) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 850-ით.

2. შპს სკოლა ახალი თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მაია ინასარიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქ. #3 - ში. სკოლის საერთო ფართი იყო: შენობა ნაგებობის-1243.5 კვ.მ, და ეზო 300 კვ.კმ. აღნიშნული ფართი სკოლას 2024 წლამდე იჯარით ჰქონდა აღებული საქართველოს უსინათლოთა კავშირთან დადებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლა განთავსებული იყო 9-სართულიანი მრავალფუნქციური შენობის I და II სართულებზე, რომლებიც იზოლირებული იყო, ჰქონდა ცალკე შესასვლელი და გამიჯნული ეზო.
სკოლაში იყო 16 საკლასო ოთახი. აღსანიშნავი იყო, რომ საკლასო ოთახების უმეტესობას ჰქონდა სარელაქსაციო სივრცე, აღჭურვილი შესაბამისი ავეჯით. პირველ სართულზე დამატებით იყო ორი სარეზერვო ოთახი - ერთი 20 მოსწავლეზე გათვლილი, ხოლო მეორე - მცირე ზომის, განაყოფებისათვის. ყველა საკლასო ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განათება. სკოლაში ადგილზე იყო მოსწავლის 140 ერთეული ინდივიდუალური მერხისა და მაგიდის კომპლექტი, კიდევ 140 კომპლექტის შესაძენად სკოლას თანხა ჰქონდა გადარიცხული. სკოლას ჰქონდა კაბინეტ-ლაბორატორია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში. ოთახს გვერდით ჰქონდა საპრეპარატო, ცალკე იყო დაცული კარადა რეაქტივებისათვის. ოთახში იყო სველი წერტილი და გამწოვი კარადა.უნდა აღინიშნოს, რომ სველი წერტილები ჰქონდა საკლასო

ოთახების უმრავლესობას. ყველა სველ წერტილში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის პირველ და მეორე სართულზე იყო ადაპტირებული სველი წერტილები შშმ მოსწავლისათვის. სკოლაში იყო ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცული იყო 615 ერთეული წიგნი. სკოლას ჰქონდა დასაკეც-გასაშლელი პანდუსები. სკოლაში იყო ინტერნეტში ჩართული 25 ერთეული კომპიუტერი. ასევე სახანძრო-ტექნიკური შეიარაღებისა და ხანძრის ჩაქრობის უახლესი პირველადი საშუალებები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. ექსპერტ ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საათობრივ ბადეში საათები დამატებული ჰქონდა უცხოურ ენებს, მათემატიკას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში საათების რაოდენობა აღემატებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათების სარეკომენდაციო რაოდენობას, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა სრულფასოვან კვებასა და დასვენებას სარელაქსაციო სივრცეში.

ექსპერტის თქმით, სკოლას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შპს ,,საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთან, საზოგადოებრივ კოლეჯ იკაროსთან, და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტ ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სკოლაში „ახალი თაობა" სასკოლო სასწავლო გეგმით კლასში განსაზღვრული იყო მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა შესაბამისად 5 და 20. სკოლას წინასწარი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული 31 პედაგოგთან. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავდნენ დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი, IT მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი და სხვ.

სკოლის პედაგოგები შერჩეული იყვნენ სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით,

შეესაბამებოდა საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავდა 17 უფროსი და 12 პრაქტიკოსი მასწავლებელი.

ორი პედაგოგის - დაწყებითი განათლების და სპორტის მასწავლებლების - სტატუსი არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. მათ არ ჰქონდათ ჩაბარებული საგნის გამოცდა, თუმცა დიპლომით ერთს მინიჭებული ჰქონდა დაწყებითი განათლების მასწავლებლის კვალიფიკაცია, ხოლო სპორტის მასწავლებელს - ჭადრაკის მწვრთნელის სტატუსი. აღნიშნულ პედაგოგებთან სკოლას გაფორმებული ჰქონდა დროებითი ხელშეკრულება შესაფერისი კადრის მიღებამდე. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ უკვე ჩაანაცვლეს ზემოაღნიშნული მასწავლებლები კანონის შესაბამისად და დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან ჰქონდათ წარმოდგენილი საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 256 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს სკოლა ახალი თაობის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ახალი თაობის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 256-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ახალ თაობას (ს/კ: 406242123) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 256 - ით.

3. შპს ალბიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, სერგო დურგლიშვილმა და ციალა გაგნიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1 ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ შპს ალბიონის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროგრამებს და სასწავლო პროცესის ორგანიზებას და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. განსხვავებულია მხოლოდ გახანგრძლიებული სწავლება, რასაც სკოლა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით სთავაზობს მოსწავლეებსა და მშობლებს. სკოლაში მოსწავლეები ყველა იმ სავალდებულო საგანს სწავლობენ, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული. ამავდროულად სკოლა მოსწავლეებს მე-4 კლასიდან სთავაზობს რუსულ ენას, ხოლო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების სახით - ჭადრაკს, კვირაში ერთი საათი (I-VI კლასები). ხელოვნების გაკვეთილის ფარგლებში სკოლაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მოსწავლეები ხალისით ერთვებიან თეატრალურ წარმოდგენებში, ანბანის გაცილების ღონისძიებაში. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც ძირითადი მიმართულებები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში ხარვეზი არ დაფიქსირდა. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასება დეტალურად იყო აღწერილი ექსპერტთა დასკვნაში, რომელსაც უკვე იცნობდენ დაინტერესებული მხარეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს ამ ნაწილში კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს ალბიონი მდებარეობდა ქ. თბილისში, თემქის დასახლება XI მკ/რ, I კვარტალი. დაწესებულება განთავსებული იყო 415 კვ.მ ფართზე. აქედან 106 კვ.მ - იჯარით ჰქონდა აღებული, ხოლო დანარჩენი ფართი - საკუთრებაში.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა სხვადასხვა ნაგებობების მიხედვით იყო:

№	მისამართი: ქ. თბილისში, თემქის დასახლება XI მკ/რ, I კვარტალი.	ფართი
1	საკუთრებაში - შენობა–ნაგებობის საერთო ფართი	308,35კვ.მ.
	იჯარით აღებული (შენობა N3 - ში)	26,8 კვ.მ.
	იჯარით აღებული (შენობა N4 - ში)	30 კვ.მ.
	იჯარით აღებული ავტოფარეხი	29,62 კვ.მ
	იჯარით აღებული ავტოფარეხი	20,22 კვ.მ

საბჭოს წევრი, მარინე უშვერიძე დაინტერესდა, რა ფუნქციით იყენებდა სკოლა აღნიშნულ ავტოფარეხებს. ექსპერტმა განმარტა, რომ ნაგებობა დარეგისტრირებული იყო ავტოფარეხად, თუმცა მას შემდეგ, რაც ნაგებობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, ეს იყო სრულფასოვანი შენობა, რის შემდეგაც იქ განთავსდა სასადილო, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

ექსპერტმა აღწერა სკოლის უსაფრთხოების სისტემა და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების შენიშვნა და ვიზიტის დროს დააყენა დამატებითი ვიდეო კამერები, სკოლაში უსაფრთხოება სრულად იყო დაცული. ასევე, სტანდარტების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა სკოლის დანარჩენი მატერიალური რესურსიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს ამ ნაწილში კითხვები არ ჰქონდათ.

3.3. დაწესებულების ადამიანური რესურსის შეფასება წარმოადგინა ექსპერტმა ციალა გაგნიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი დაწყებითი საფეხურისთვის, რომლის განხორციელებასაც გეგმავდა 14 პრაქტიკოსი და 2 უფროსი მასწავლებლით. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავდა სკოლის დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სკოლის დირექტორი და ბუღალტერი. ასევე სკოლას 2018-2019 სასწავლო წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰქონდა შემდეგი პერსონალი: იურისტი, ბიბლიოთეკარი, ინფ. მენეჯერი, მზარეული, ექთანი, დარაჯი, მძღოლი, დამხმარე მუშა, 2 დამლაგებლი, 6 აღმზრდელი.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა გახანგრძლივებული პროგრამის განხორციელების პირობებით, იყო თუ არა შესაფერისი სივრცე, ინვენტარი. ექსპერტმა განმარტა, რომ მოსწავლეები სკოლაში იყვნენ დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, უზრუნველყოფილი იყვნენ კვებით, ჰქონდათ დასვენებისა და განსხვავებულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა. მათ დღის მეორე ნახევარში ემსახურებოდნენ აღმზრდელები. გახანგრძლივებული პროგრამა არ იყო სავალდებულო, თუმცა თითქმის ყველა ბავშვი სარგებლობდა ამ მომსახურებით, რაც განპირობებული იყო მშობლების სამუშაო გრაფიკით და უბნის თავისებურებით. გახანგრძლივებული პროგრამის მიმართ კმაყოფილება დაადასტურეს ინტერვიუებში მშობლებმაც.

სკოლის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლა ითხოვდა 120 ადგილს, ჰქონდა 8 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო და სხვა სივრცეები, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა სახის აქტივობებით იყვნენ დაკავებული და არსებული რესურსი საკმარისი იყო მათთვის მთელი დღის მანძილზე კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ალბიონის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალბიონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ალბიონს (ს/კ:200072152) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

4. შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1 ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ „შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი (ს/კ405225144) მდებარეობდა ქ. მარნეულში, ა. შაიგის ქუჩა N3-ში მდებარე 3520.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობა №1-ზე(მიწის საკადასტრო კოდი: № 83.02.19.347) საერთო ფართით -2920.98 კვ.მ. საკუთრება დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადატრო კოდი №83.02.19.347). ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა დაწესებულების შენობაში რემონტის შემდგომ დასუფთავების სამუშაოები და ეზოს მოპირკეთება. დაწესებულებაში იყო 17 საკლასო ოთახი, 1 ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის, 1 ბიბლიოთეკა, 1 მედიათეკა, 1 სააქტო დარბაზი, 1 ექიმის ოთახი, 1 სამასწავლებლო, 1 სპორტული დარბაზი. სკოლას ჰქონდა სპორტული ოთახი და სპორტული მოედანი. სპორტის სახეობებად სკოლას არჩეული ჰქონდა: დაწყებით საფეხურზე სპორტი და ფიზიკური აღზრდა, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ფეხბურთი, ფრენბურთი და კალათბურთი. დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერებით დგინდებოდა, რომ სკოლას ჰქონდა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების სრული კომპლექტი.

სკოლის ბიბლიოთეკა მოიცავდა 2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოებს, გარდა დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოებისა. დაწყებითი საფეხურისთვის სკოლას არჩეული ჰქონდა გრიფირებული სახელმძღვანელოები და ჰქონდა მზაობა მათი გამოსვლისთანავე შეძენისა ბიბლიოთეკაში განსათავსებლად.

დაწესებულებას შეძენილი გქონდა 26 კომპიუტერი და 1 პრინტერი. ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული იყო შპს „მაგთიკომთან". სკოლას ჰქონდა ვებ-გვერდი: http://momavali.edu.ge

დაწესებულებას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეძენილი ჰქონდა 6 ცეცხლმაქრი და შექმნილი იყო ევაკუაციის გეგმები სამივე სართულისთვის, რომლებიც დასუფთავების შემდგომ განთავსდებოდა შესაბამის ადგილებზე დერეფნებში. შენობაში დამონტაჟებული იყო 21 – 2

მეგაპიქსელიანი შიდა კამერა, ხოლო გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 6 – 4 მეგაპიქსელიანი კამერა. სკოლაში გამოყოფილი იყო ექიმის ოთახი, რომელშიც დამონტაჟებული იყო ონკანი და (დასუფთავების შემდგომ) განთავსდებოდა ტახტი და კარადა მედიკამენტებისთვის. შენობაში იყო სათადარიგო კიბე და შექმნილი იყო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება, რომლითაც განსაზღვრული იყო უსაფრთხოების სამსახურის კოორდინატორის, უსაფრთხოების ჯგუფის წევრთა, დარაჯის, მებაღის და დამლაგებლების უფლება-მოვალეობანი.

დაწესებულება გეგმავდა საგანგებო შტაბის შექმნას და აქტიურ თანამშრომლობას საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან.

სკოლის სამივე სართულის ყველა კიბეზე დამონტაჟებული იყო მოსახსნელი პანდუსები, რომლებიც კიბის მოაჯირებზე იყო მიმაგრებული.

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შინაგანაწესის პროექტი. ასეევე შემუშავებული იყო ერთწლიანი 2018-2019 სამოქმედო გეგმა და განვითარების ექვსწლიანი/გრძელვადიანი 2018-2023 სასწავლო წლების გეგმები, რომლებიც ცალ-ცალკე ყოველი შემდგომი სასწავლო წლის გეგმის პროექტით იყო წარმოდგენილი. ყველა შემდგომი სასწავლო წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებდა წინა სასწავლო წლის შედეგების განხილვასა და გაანალიზებას.

სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული შპს „ეგლო ჯორჯია + თან“ , რომლის თანახმადაც მიმწოდებელი მყიდველს მოთხოვნის შესაბამისად აწვდია 310 ერთადგილიან მაგიდას და სკამს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2 დაწესებულებამ წარმოადგინა საშტატო განრიგის პროექტი 2018-2019 სასწავლო წლისათვის. გათვალისწინებული იყო 35 პედაგოგისა და 12 ასისტენტ-პედაგოგის პოზიცია. ვიზიტის პერიოდში სკოლას წინასწარი ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 28 (ოცდარვა) მასწავლებელთან. მათგან - 5 უფროსი მასწავლებელია, 23 - პრაქტიკოსი, ერთმა პირმა უკვე დაასრულა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა. დანარჩენ ვაკანტურ პოზიციებზე მიმდინარეობდა კონკურსი და რეზიუმეების განხილვა.

შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის შინაგანაწესში განსაზღვრული იყო თანამშრომლების მიღებისა და დათხოვნის პროცედურა, დისციპლინური დარღვევებისა და სახდელების, საჩივრის განხილვის წესი, წახალისების ფორმები.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები ასისტენტ-მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან. ხელშეკრულებით მასწავლებელები თანხმობას აცხადებდნენ, რომ სკოლის მიერ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში ისინი დაიკავებდნენ განსაზღვრულ თანამდებობებს. თანამდებობაზე მიღებას განახორციელებდნენ დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი პროცედურების თანახმად.

სკოლამ წარმოადგინა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების“ - პროექტი 2018-2019 სასწავლო წლისათვის. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი იყო ძირითადი მიმართულებები. აღწერილი იყო ძირითადი ღონისძიებები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის: სკოლა გეგმავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების (ქართული ენის სწავლების კომპეტენციები) ხელშეწყობის მიზნით ,,ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების'' სახელმწიფო პროგრამაში მასწავლებლების ჩართვას, სსიპ ზურაბ ჟვანიის სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან (ქ. მარნეულში) ინტენსიურ თანამშრომლობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესის პროექტით ჩანდა, რომ სკოლა ქმნიდა თანამშრომლობის ატმოსფეროს და მასწავლებლებს ჩართავდა მნიშვნელოვან სასკოლო პროცესებში, რაც ხელს შეუწყობდა კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადაამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.3. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე წარედგინებოდა პედაგოგიურ საბჭოს განსახილველად.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

სკოლის საათობრივი ბადე განსაზღვრავდა მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასებისა და საგნების მიხედვით. სკოლის კვირეული დატვირთვა განსხვავდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვისგან. ძირითად საგნებს, როგორიცაა ქართული, მათემატიკა, უცხოური ენა, დამატებული ჰქონდა საათები. ქართული ენის საათების გაზრდის გადაწყვეტილების დროს სკოლა ხელმძღვანელობდა იმ მოცემულობით, რაც რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარეობდა. ეს გულისხმობდა იმას, რომ სკოლაში ძირითადად არაქართულენოვანი მოსწავლეები ისწავლიან. იქიდან გამომდინარე, რომ საათობრივი დატვირთვა გაზრდილი იყო, სკოლა სამივე საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობდა სადილსა და დასვენებას, რომლის ერთობლივი დრო შეადგენდა ერთ ასტრონომიულ საათს. დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა კლასისთვის შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების სია და საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის შეძენილი სახელმძღვანელოები. ვიზიტის პერიოდში დაწყებითი საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელოები არ იყო გაყიდვაში.

სკოლას სასწავლო გეგმის პროექტში ჰქონდა სპეციალური პროგრამა, რომელიც გულისხმობდა საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ეტაპებს და შეფასების ფორმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.
სკოლის შეფასების სისტემა სრულად ეფუძნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტებით განსაზღვრული იყო დამრიგებლის მოვალეობები.

დაწესებულებამ წარმოადგინა „სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულების“ პროექტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან დაწესებულების წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის ქართული ენის სწავლებას და მათთვის საქართველოში სწავლის გაგრძელებისა და მუშაობის შესაძლებლობის მიცემაზე ზრუნვას, ასევე, მშობლიური ენის სწავლებას და ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნებას.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 320 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრს (ს/კ:“ ს/კ405225144) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

5. შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ჭეიშვილმა და მაკა ნადარეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობასთან დაკავშირებით ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საკმაოდ ვრცელი და საინტერესოდ ჩამოყალიბებული მისია, თუმცა შემდეგ გამოვლინდა შეუსაბამობა მისიასა და სასკოლო სასწავლო გეგმას შორის. მაგალითად, მისიაში აღნიშნული იყო, რომ სკოლა იყო სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული და ახორციელებდა სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი სწავლებისა და აღზრდის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, მაშინ, როცა კომპიუტერულ ლაბორატორიაში მხოლოდ 3 კომპიუტერი იყო, სკოლაში არ იყო პროექტორი. ასეთი მწირი რესურსით სკოლა ვერ იქნებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული. ასევე, სასწავლო გეგმაში არ ჩანდა, როგორ აპირებდა სკოლა საზოგადოებრივი მოლოდინების გათვალისწინებას, ასევე არ იყო გამოხატული სკოლის პრიორიტეტები, რაზეც საუბარი იყო მისიაში.

ექპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ ცენტრში წარმოადგინა ფაქტიურად სრული განახლებული საავტორიზაციო დოკუმენტაცია, რომელშიც შეეცადა გაესწორებინა ხარვეზები. ავტორიზაციის დებულების თანახმად, ექსპერტი და საბჭო არ არიან უფლებამოსილნი, გაითვალისწინონ ვიზიტის შემდეგ შექმნილი დოკუმენტები ან გარემოებები. შესაბამისად, ექსპერტი მართალია, გაეცნო განახლებულ დოკუმენტაციას, მაგრამ მისი შეფასება მთლიანად ეფუძნებოდა ვიზიტის დროს წარმოდგენილ მასალებს.

დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსების ნაწილში დაფიქსირდა რიგი ხარვეზები. კერძოდ:

- სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული იყო გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასების, გამომცემლობისა და ავტორების მიხედვით ძველი სახელმძღვანელოების შესაბამისად, მაშინ, როცა გრიფირებული სახელმძღვანეოების ნუსხა ჯერ კიდევ უცნობი იყო ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. ძველი სახელმღვანელოები კი ვერ გადიოდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, სკოლას სასწავლო სახელმძღვანელოების შერჩევა უნდა მოეხდინა გრიფირების პროცესის დასრულების შემდეგ;
- საგნობრივ პროგრამებში მოსწავლეთა მიერ მისაღწევი შედეგები არასწორად იყო განსაზღვრული და რიგ შემთხვევაში დაწყებითი საფეხურის სასწავლო გეგმებში მითითებული იყო საბაზო და საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (მაგ. უცხო ენის პროგრამაში);
- რუსული ენისა და ბუნებისმეტყველების თემატურ - კალენდარულ გეგმაში მითითებული იყო საგნობრივი სტანდარტი 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ფუნქციონირებას გეგმავდა 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებისას მხოლოდ დაწყებით საფეხურზე (ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში), თემატურ - კალენდარული გეგმების შედგენისას უნდა ეხელმძღვანელათ 2018-2024 ეროვნული სასწავლო გეგმით.
- თითქმის ყველა დოკუმენტი დამტკიცებული იყო ივლისში სექტემბრის თარიღით;
- სკოლას ჰქონდა შემაჯამებელი დავალების შეფასების ფორმა, მაგრამ ის არ მოიცავდა ანალიზისა და რეკომენდაციების ნაწილს, შესაბამისად, არ იყო განვითარებაზე ორიენტირებული;
- დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „ინკლუზიური სწავლების პრინციპები", რომელიც მოიცავდა ზოგად დებულებებს, რომლის მიხედვითაც მომავალში მოხდებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლას არ ჰქონდა რესურს ოთახი და არც მისი გახსნის ფიზიკური საშუალება, შენობაში ოთახების სიმცირის გამო. წარმოდგენილი დოკმენტის მიხედვით რესურს ოთახის გახსნა აუცილებელი იყო.

5.2. მატერიალურ რესურსთან მიმართებაში, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის საშუალო სკოლას ქ. რუსთავში შევჩენკოს ქუჩის №5 - ში, გარი ჩაფიძისგან იჯარით, ხუთი წლის ვადით (2018 წლის 08 ივნისიდან 2023 წლის 08 ივნისამდე), აღებული ჰქონდა ორი შენობა საერთო ფართით 290 კვ.მ. (190,2 კვ.მ. + 99,8 კვ.მ. =290.00 კვ.მ.). ამ შენობებიდან ერთი შენობა, ფართით 190,2 კვ. მ იყო ორსართულიანი, ხოლო მეორე შენობა, 99,8 კვ.მ. იყო ერთსართულიანი და განკუთვნილი იყო სპორტის მეცადინეობებისათვის. სასწავლო პროცესისთვის გამიზნულ შენობაში იყო რვა ოთახი და ორი სველი წერტილი, თითო უნტაზით.

აღნიშნული რვა ოთახიდან ხუთი ოთახი გასაზღვრული იყო საკლასო ოთახებად, ერთ ოთახში განთავსებული იყო ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია სამი კომპიუტერით, ერთი ოთახი განკუთვნილი იყო მასწავლებლებისათვის, ხოლო ერთ ოთახში განთავსებული იყო ბიბლიოთეკა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ მოითხოვა მეტი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდა სკოლა ხუთ საკლასო ოთახში ექვსი კლასის განთავსებას, რაზეც სკოლის წარმოამდგენელმა

უპასუხა, რომ მეექვსე კლასს განათავსებდნენ ცხრილის ხარჯზე, ე.წ. მოხეტიალე კლასის პრინციპით.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა დაწყებით საფეხურზე ამგვარი კლასის არსებობა დაუშვებლად მიიჩნია, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს სხვა წევრებიც.

ექსპერტი ასევე შეეხო იმ სივრცეს, რომელშიც განთავსებული იყო დაწესებულება. დამფუძნებელი ამ შემოღობის სივრცეს უწოდებდა ე.წ. „აკადემიურ ქალაქს". მასში განთავსებული იყო რამდენიმე დაწესებულება - საბავშვო ბაღი, კოლეჯი, უნივერსიტეტი, მოსამზადებელი ცენტრი, სამედიცინო ცენტრი, მიუსაფარი მასწავლებლების საცხოვრებელი, შოკოლადის საამქრო და სხვა. სკოლა მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი იურიდიული პირი იყო, ქონება დამოუკიდებლად არ გააჩნდა. ქონება იყო საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის და სკოლასთან გაფორმებული იყო ე.წ. სესხების ხელშეკრულება ქონების ეტაპობრივად გადაცემის შესახებ.

ცალკე იდგა მეორე შენობა სპორტის მეცადინეობებისათვის, რომელშიც ვიზის დროს მიმდინარეობდა საშხაპეების მიშენება.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა დასკვნაში აღწერილ გათბობის სისტემაზე. კერძოდ, ცენტრალური გათბობის ქვაბი განთავებული იყო გოგონების ტუალეტში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღწერილი სურათი შეესაბამებოდა სიმართლეს, თუმცა დაამატა, რომ ვიზიტის დროს სკოლის ხელმძღვანელობამ ქვაბი დაფარა საიზოლაციო მასალით.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ გათბობის ქვაბის შენობაში არსებობა უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევად მიიჩნია.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის შენობა „აკადემიური ქალაქის" შემოღობილი სივრცის შუაში იდგა და მას გარედან დამოუკიდებელი შესასვლელი არ გააჩნდა. სკოლაში მოსახვედრად ნებისმიერი მიმართულებიდან აუცილებელი იქნებოდა, რომელიმე სხვა დაწესებულების სივრცის გადაკვეთა. ასევე, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც იმყოფებოდა პოლიკლინიკაში, მოსამზადებელ ცენტრში ან რომელიმე სხვა შენობაში, დაუბრკოლებლად მოხვდებოდა სკოლაში. სკოლას არ ჰყავდა დღის და ღამის დაცვა. შესაბამისად, არ იყო დაცული მოსწავლეების უსაფრთხოება.

ექსპერტმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენლებს მოსთხოვა, არსებობის შემთხვევაში წარმოედგინათ მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სკოლას ჰქონდა რაიმე სახის ხელშეკრულება გაფორმებული შესაბამის ადამიანებთან ან უწყებასთან შენობის დაცვის შესახებ. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა მცირე ზომის იყო და მასში უსაფრთხოების დაცვის განსაკუთრებული ზომები არ იყო საჭირო, რადგან ამას, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფდნენ მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტი საბჭომ სარწმუნოდ არ მიიჩნია.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ დამსწრეთა ყურადღება დასკვნის კიდევ ერთ ნაწილზე გაამახვილა. კერძოდ, ბიბლიოთეკაში სკოლის მიერ დაცული პერიოდიკის ჩამონათვალში სხვა გამოცემებთან ერთად აღნიშნული იყო გაზეთები „ასავალ დასავალი" და „კვირის პალიტრა". საბჭოს წევრისთვის გაუგებარი იყო აღნიშნული გამოცემების დანიშნულება დაწყებით საფეხურზე სწავლებისთვის.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი დოკმენტაცია: სკოლის წესდება; შინაგანაწესი და შპს „საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის საშუალო სკოლის ზოგადი დებულება". ჩამოთვლილი დოკმენტები არ იყო შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან შემდეგი გარემოებების გამო:

სკოლის წესდება, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ სკოლაში ვიზიტის დროს არ შეესაბამებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - საჯარო რეესტრიის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ატვირთულ წესდებას, გარდა ამისა, წარმოდგენილი წესდება დირექტორის მიერ იყო დამტკიცებული ოქმი №1-ით 2018 წლის 12 სექტემბერს. ეს თარიღი კი ჯერ არ იყო დამდგარი; იგივე თარიღით იყო დამტკიცებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის საშუალო სკოლის შესაბამისობის საკითხზე. აღინიშნა დაფიქსირებული ხარვეზები მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან, საკლასო ოთახების რაოდენობასთან, მისიისა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის შეუსაბამობასთან დაკავშირებით. საბჭომ მიიჩნია, რომ არ იყო დაკმაყოფილებული ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა დ ამეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტისა და 25 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის საშუალო სკოლას (ს/კ 406170021) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
6.1. ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა მოხდა 2018 წლის 15 მაისის

სხდომაზე. საბჭომ განუსაზღვრა დაწესებულებას 60 დღიანი ვადა საჯარო რეესტრში მიშენებული კორპუსის დასარეგისტრირებლად. ექსპერტმა დაამატა, რომ N1020686 წერილით საპატრიარქომ ცენტრში წარმოადგინა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც სააგენტო ატყობინებდა საპატრიარქოს არსებულ ვითარებას დაწესებულებისთვის ფართის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რა მდგომარეობა იყო ამ ეტაპისთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში ადგილზე იმყოფებოდა ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები მოკვლევაზე და საკითხი საჭიროებდა მთავრობის სხდომაზე გატანას, რის გამოც ჭიანურდებოდა შენობის სკოლის საკუთრებაში გადაცემა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაურეგისტრირებელი შენობის გარეშე, სკოლის მფლობელობაში არსებული ფართი საკმარისი იყო თუ არა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. ექსპერტის განმარტებით, სკოლას დაურეგისტრირებელი მიშენების

გარეშეც საკმარისი ფართი და რესურსი ჰქონდა მოსწავლეთა არსებული კონტიგენტისათვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, სკოლის წარმომადგენელს მიმართეს რეკომენდაციით, მიშენებული შენობის ექსპლუატაციაში მიღებამდე არ განეხორციელებინათ შენობაში სწავლება ბავშვების უსაფრთხოებიდან გამომდინარე და შენობის ჩაბარებისა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ ცენტრისთვის მოეწოდებინათ შესაბამისი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა შეკითხვით, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის (ს/კ:242576636) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7.ა(ა)იპ ცისარტყელას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და მიხეილ ტეფნაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

7.1 ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ „ .ა(ა)იპ ცისარტყელა " ს/კ204441069 მდებარეობდა ქ. მცხეთაში, სოფ. საგურამოში, ნაკვეთი „ნავენახარი". ამონაწერის მიხედვით, დაწესებულება, მესაკუთრე დავით დუჩიძისგან, უსასყიდლო უზუფრფრუქტის სანოტარო აქტის საფუძველზე ფლობდა 1570 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 495 კვ.მ. შენობა-ნაგებობას. უსასყიდლო უზუფრფრუქტის სანოტარო აქტისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უზუფრფრუქტუარს აღნიშნულ მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების გამოყენების უფლება ჰქონდა 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. შენობა ორსართულიანი იყო და მასში განთავსებული იყო საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, მოსწავლეთა ბიბლიოთეკა, სამზარეულო, დიდი ოთახი სპორტული აქტივობებისთვის, ექიმისა და ბიუროს ოთახი. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილი იყო სპორტული მოედანი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის განხორციელებას გეგმავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებით საფეხურზე და არ ესაჭიროებოდა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, დაწესებულებას ჰქონდა ლაბორატორიის გარკვეული ინვენტარი: მიკროსკოპი, ადამიანის ჩონჩხი, მულაჟები და თვალსაჩინოებები.

შენობის მეორე სართულზე განთავსებული იყო მოსწავლეთა ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებული იყო 150 ერთეული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. დაწყებითი საფეხურისთვის სკოლას არჩეული ჰქონდა გრიფირებული სახელმძღვანელოები და ჰქონდა მზაობა მათი გამოსვლისთანავე შეეიძინა ბიბლიოთეკაში განსათავსებლად.

შენობაში ასასვლელ კიბეზე დამაგრებული იყო ხის მოძრავი პანდუსი. შენობის პირველ სართულზე იყო ადაპტირებული ერთი სველი წერტილი.

დაწესებულებას ჰქონდა ინტერნეტით უზრუნველყოფილი 9 პერსონალური კომპიუტერი, პროექტორი და პრინტერი. შენობაში დამონტაჟებული იყო ინტერნეტის უკონტაქტო გადამცემი აპარატი (WiFi).

დაწესებულების ვებგვერდია http://saguramonatureschool.edu.ge , რომელზეც განთავსებული იყო ინფორმაცია სკოლის, სკოლის სიახლეებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ. სკოლის ადმინსიტრატორის განცხადებით, ვებ. გვერდი დამუშავების პროცესში იყო.

დაწესებულებას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის მიზნით ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო საევაკუაციო გეგმის ნახაზი და შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებული იყო სახანძრო სიგნალიზაცია (26 წერტილი). ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო ორი საევაკუაციო გეგმა და განთავსებული იყო ექვსი ცეცხლმაქრი. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პასუხისმგებლობა დაკისრებული იყო კონკრეტულ პირზე. სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა ხუთი ვიდეოკამერით, ხოლო შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო ორი კამერა.

შენობის პირველ სართულზე მოწყობილი იყო სამედიცინო ოთახი, სადაც განთავსებული იყო პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები.

წესრიგის დასაცავად შემუშავებული იყო შინაგანაწესი და მასში განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ხელშესაწყობად ბრძანებით დადგენილი იყო თანამშრომელთან მორიგეობა.

დაწესებულებას გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურების სამართავად შემუშავებული ჰქონდა ორგანიზაციის სტრუქტურა, კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ცენტრის დებულება. დაწესებულებას SWAT ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ჰქონდა განვითარების გრძელვადიანი - 2018-2023 წლების და ერთწლიანი (მოკლევადიანი) – 2018-2019 სასწავლო წელი - სამოქმედო გეგმები, რომლებიც შესაბამისი მიმართულებებისა და აქტივობების განხორციელებით გეგმავდა დაწესებულების მისიის შესრულებას, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას. შემუშავებული იყო საქმისწარმოების წესი და მის შესაბამისად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. დაწესებულებას ჰქონდა აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმდენად, რამდენადაც სკოლას გაზიარებული აქვს ვალდორფის სკოლის ძირითადი მიდგომები, სკოლა იზიარებს შტაინერის თეორიას, თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ მოდის წინააღმდეგობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. იგივე დაადასტურეს ექსპერტებმაც.

7.2. ექსპერტ მიხეილ ტეფნაძის განმარტებით დაწესებულებაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს ემსახურებოდა 24 თანამშრომელი, სადაც 16 მასწავლებელი იყო. შემუშავებული საშტატო განრიგის თანახმად სკოლას ჰყავდა ექიმი, ბიბლიოთეკარი, ადმინისტრატორი და ბუღალტერი. სკოლას ჰყავდა 8 უფროსი მასწავლებელი, დანარჩენი პრაქტიკოსები. სკოლას შემუშავებული ჰქონდა თანამშრომლების მიღება-გათავისუფლების წესი, რომელიც დამტკიცებული იყო გამგეობის თავმჯდომარის მიერ. წესში გაწერილი იყო სამუშაოზე მიღების, კონკურსის გამოცხადების, პირადი საქმეების წარმოებისა და შრომითი ხელსეკრულების დადებისა და შეწყვეტის წესი. სკოლა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში აპირებდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვას, სკოლაში შემუშავებული იყო ხედვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

კუთხით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდებოდა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადაამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

7.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომელიც აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინკლუზიური განათლების მიდგომები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შაბლონი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, რომელსაც გამოიყენებენ ასეთი მოსწავლის ყოლის შემთხვევაში;

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ბუნებისმეტყველებისა და უცხოური ენების გაძლიერებულ სწავლებას, რომელთაც პროგრამულად მეტი საათი ჰქონდა დათმობილი, ვიდრე ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. სწავლების დეტალური აღწერილობა, მიზნები და შედეგები მოცემული იყო საგნობრივ პროგრამებში. ექსპერტთა რეკომენდაცია იყო, სკოლას სახელმძღვანელოების შერჩევის შემდეგ საგნობრივ პროგრამებში მეტად დეტალურად აღეწერა ის მეთოდები და მიდგომები, რომელსაც გამოიყენებდა ინტეგრირებული სწავლებისას, რაც გაუადვილებდა სასწავლო პროცესის წარმართვას, მონიტორინგსა და მისიის მიზნების განხორციელებას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი, დამატებითი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მომსახურება ხორციელდებოდა სკოლის სავალდებულო საათებზე მიბმულ გახანგრძლივებულ ჯგუფში, სადაც მოსწავლეები ჩართულები იქნებოდნენ ისეთ დამატებით საქმიანობებში როგორებიცაა: ხელგარჯილობა და ხელოსნობა, მებაღეობა, სოფლის მეურნეობა, ტრადიციული რეწვა, ხალხური ცეკვა და ა.შ. სკოლის იდენტობის ერთერთ შემადგენელ ნაწილს სასწავლო პროცესისათვის ადექვატური გარემოს ორგანიზება წარმოადგენდა. ეს ეხებოდა როგორც შენობის არქიტექტურას, სახელოსნოებისა და ღია სივრცის (ეზოს) მოწყობას, ასევე საკლასო ოთახების ესთეტიკურ გაფორმებასა და სასწავლო ინვენტარის შერჩევას.სკოლის სასწავლო გეგმა და სასწავლო პროგრამები შემუშავებული იყო ერთი მხრივ სახელმწიფო მოთხოვნების სრული დაცვით, მეორე მხრივ კი თანამედროვე საქართველოს სოციოკულტურულ კონტექსტში ადაპტირებული ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებით. საათობრივი ბადით განსაზღვრული საგნები - ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, მშობლიური ენა და ლიტერატურა, გარდა ყოველკვირეული გაკვეთილებისა, ჩატარდებოდა ინტეგრირებულად. ინტეგრირებული გაკვეთილი ორსაათიანი იყო და ყოველდღიურად, ინტენსიური სწავლების მეთოდის გამოყენებით განხორციელდებოდა.

სკოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საკვანძო მაგალითებით სწავლების მეთოდი (ფენომენოლოგიური მიდგომა). შესასწავლი ფაქტების სიუხვის ნაცვლად, ადგილი ჰქონდა ჩაღრმავებულ განხილვას უმნიშვნელოვანესი და არსებითი მაგალითებისა (საკვანძო

ფენომენების), რომელთა დეტალური გააზრებით მოსწავლეები დაეუფლებოდნენ მომიჯნავე წარმოდგენებსა და ცნებებს.

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, შეეიძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესები, რაც უზრუნველყოფდა სასკოლო ცხოვრებაში მათ ჩართულობას. სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი, რომლის ფუნქციონირების მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ხარისხის მართვის ჯგუფი.

საბჭოს წევრმა, გრიგოლ მურღულიამ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რამდენად ეყრდნობოდა სკოლა შტაინერის თეორიას და ხომ არ ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპებს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 90 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ ცისარტყელას საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ცისარტყელას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, .ა(ა)იპ ცისარტყელას (ს/კ 204441069) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

8. შპს თბილისის თავისუფალ სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მეოთხე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეოთხე ნაწილში, მათ შორის, სარეზოლუციო ნაწილშიც და შესაბამისად, ამ ოქმის საფუძველზე გამოცემულ გადაწყვეტილებაში, დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ზემოხსენებულ ოქმში შპს - თბილისის თავისუფალი სკოლის (ს/კ 405234438) ნაცვლად, მითითებულია შპს - თავისუფალი სკოლა (ს/კ 430024939).

საბჭოს ყველა წევრის მიერ დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნულ სხდომაზე ადგილი ჰქონდა შპს - თბილისის თავისუფალი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხის განხილვას, შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილებები 6 წლის ვადით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ ეხებოდა შპს - თბილისის თავისუფალი სკოლას (ს/კ 405234438).

საბჭომ, შპს თბილისის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის შესახებ, კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეოთხე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

1) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეოთხე ნაწილში:

ა) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ოქმის ტექსტში მითითებული შპს თავისუფალი სკოლის (ს/კ 430024939) ნაცვლად, მითითებულ იქნას შპს თბილისის თავისუფალი სკოლა (ს/კ 405234438);

ბ) მითითებული გადაწყვეტილების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შპს თბილისის თავისუფალ სკოლას (ს/კ 405234438) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით.

შპს თბილისის თავისუფალ სკოლას (ს/კ 405234438) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

2) ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №45 გადაწყვეტილება;

3) წინამდებარე ოქმის საფუძველზე, გამოიცეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეოთხე ნაწილისა და წინამდებარე ოქმის საფუძველზე, შპს თბილისის თავისუფალ სკოლას (ს/კ 405234438), 2018 წლის 30 ივლისიდან, მიენიჭება ავტორიზაცია.

9. შპს იუჯი სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მეექვსე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეექვსე ნაწილში, მათ შორის, სარეზოლუციო ნაწილშიც და შესაბამისად, ამ ოქმის საფუძველზე გამოცემულ გადაწყვეტილებაში, დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ზემოხსენებულ ოქმში შპს იუჯი სკოლას (ს/კ 205258344) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 400-ით, ნაცვლად 935-ისა.

საბჭოს ყველა წევრის მიერ დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნულ სხდომაზე ადგილი ჰქონდა შპს იუჯი სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 935-ით განსაზღვრას. საბჭომ, შპს იუჯი სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეექვსე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

1) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეექვსე ნაწილში:

ა) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ოქმის ტექსტში მითითებული შპს იუჯი სკოლისთვის (ს/კ 205258344) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის ნაცვლად, მითითებულ იქნას 935;

ბ) მითითებული გადაწყვეტილების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შპს იუჯი სკოლას (ს/კ 205258344) ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 935 -ით. მათ შორის ქ.თბილისში 535-ით და ქ.ბათუმში 400-ით".

2) ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №47 გადაწყვეტილება;

3) წინამდებარე ოქმის საფუძველზე, გამოიცეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მეექვსე ნაწილისა და წინამდებარე ოქმის საფუძველზე, შპს იუჯი სკოლას (ს/კ 205258344), 2018 წლის 30 ივლისიდან, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრება 935-ით, მათ შორის ქ.თბილისში 535-ით და ქ.ბათუმში 400-ით.

10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლასთან დაკავშირებით 2018 წლის 30 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №11 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მესამე ნაწილში, მათ შორის, სარეზოლუციო ნაწილშიც და შესაბამისად, ამ ოქმის საფუძველზე გამოცემულ გადაწყვეტილებაში, დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ზემოხსენებულ ოქმში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ნაცვლად (ს/კ 204571588), მითითებულია შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლა (ს/კ 204571588), ასევე მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ნაცვლად, დაფიქსირებულია ავტორიზაცია.

საბჭოს ყველა წევრის მიერ დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნულ სხდომაზე ადგილი ჰქონდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვას.).

საბჭომ, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

1) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მესამე ნაწილში:

ა) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ოქმის ტექსტში მითითებული შპს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის (ს/კ 204571588) ნაცვლად, მითითებულ იქნას ა(ა)იპ საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლა (ს/კ 204571588).

ბ) მითითებული გადაწყვეტილების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

2) ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №44 გადაწყვეტილება;

3) წინამდებარე ოქმის საფუძველზე, გამოიცეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 ოქმის მესამე ნაწილისა და წინამდებარე ოქმის საფუძველზე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლას (ს/კ 204571588), 2018 წლის 30 ივლისიდან, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრება 320-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 20:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მანანა რატიანი

მდივანი
თამილა ჩუბინიძე